



სუცესი სვსტრატი ზონსტანტინეპოლელი თთუესა ივლისსა: 14:

სიმანთ და მოლუანუბამ ნებარისა სულანდუხტისი სპარსეთს*



ხორებად და ღუანლისა ძლევად ნმიდისა და სამგზის სანატრელი-სა **სულანდუხტისი**, რომელსა ეწო-და ნათლისღებასა სახელი **შარი-ამ**. აფლისა და შაცხოვრისა ჩუენისა სესუ ჟრისტვს შენენითა, ვითარ-ესე გუესმა სარ-ნმუნოთა და იმრთის-მსახურთა კაცთაგან, ყოველი ჭეშმარიტად ქმნული **სპარსეთს** შინა **ჟუასროვ** ძუელ მეფისა ზედა **არმიზდ** მეფისა, დღეთა ჩუენტა, მვევლისა იმრთისა **სულან-დუხტისთვს**, რომელსა ეწოდა ნათლისღებასა **შარიამ**, – ესე მწრაფლ იქმნა ჩუენდა აღნ-ერად, მის მიერ ქმნული იგი, რადთა არა იყოს დავიწყებად მრავალთა ჟამთა წარსლვითა, და სხუანიცა, რომელნი მოვიდენ მოსაწსენებელსა ამას, აღეშწნებოდინან.

II. ჟერძენთ მეფობასა იმრთის-მსახური-სა **შავრიკისა** **ზოსტანტინეპოვლის**, ნელსა მეცხრესა, ინდიკტიონსა ცხრასა, გამოჩნდა აღმოსავალით-კერძო ნეტარი **სულანდუხტ** ქალაქსა, რომელსა ჰრქვან **ჩისიონ**, ნათესავით **სპარსი**, რომელი თვისი იყო **ჟუასროვ** მეფისა **სპარსთადაა**. წმან ჟრისტვსთვს მრავალი ტან-ჯვად დაითმინა. წმას ესუა ქმარი მოგუთ-მთა-ვარი, რომელი განვიდა მთავრად გუნდთა ზედა აღმოსავალით და მოიყვანა ტყუშ მრავალი. თა ტყუეთა მათგანნი მამანი შეიყვანნა სახიდ თვსა, და იყვნეს იგინი ჟრისტიანენი და შიში იმრ-თისაჲ აქუნდა გულსა მათსა და არა შჭამდეს ნაკერპავსა, რომელსა-იგი სცემდეს უფალნი თვსნი, არამედ მარადის იმარხვიდეს და ილოც-ვიდეს იმრთისა მიმართ მოუკლებულად.

III. შღესა ერთსა შინა მოუნოდა ნმიდ-ამან იმრთისამან **სულანდუხტ** და ჰრქუა: «მითხართლა მე, რადსა არა შჭამთ საჭმელ-სა, რომელსა ჩუენ ვჭამთ, არამედ სხუაჲცა რადმე არს, რამეთუ ილოცავთ თქუენ იმრთისა მიმართ თქუენისა ყოველსა ჟამსა, მასწავეთ მეცა». ღოლო მათ მიუგეს და ჰრქუეს მას: «ჩუენ ჟრისტიანენი ვართ და იმერთსა ვჰმ-სახურებთ, ხოლო ნაკერპავი არა ვჭამოთ, არ-

ამედ ვილოცოთ იმრთისა მიმართ, ჟომელმან შექმნნა ცანი და ქუეყანაჲ და ყოველი, რად არს მას შინა დაბადებული. ღოლო მზვ და მთო-ვარვ და ცეცხლი არა არიან იმერთ, არამედ ესე ყოველი კაცთათვს დაჰბადა იმერთმან».

ღოლო ნმიდაჲ იგი გულს-მოდგინედ ისმენდა მათსა მას მისა მიმართ სიტყუასა და განელო გონებად მისი და მოვიდა იმრთის-მეცნიერება-სა ჭეშმარიტად. ღოლო ნმიდაჲ იგი იყო განკ-ვრვებასა შინა სამ დღვ და იხილა ანგელოზი აფლისაჲ, რომელი არუენებდა მას ადგილთა ორთა: ერთი იგი ადგილი იყო ბნელისაჲ, რო-მელსა შინა იყო სიმრავლვ კაცთა ცოდვილთაჲ, და ერთი იგი ადგილი იყო ნათელი, რომელსა შინა იყვნეს კაცნი მართალნი. შიუგო ნმიდამან **სულანდუხტ** და ჰრქუა ანგელოზსა მას: «აფა-ლო, რად არს ადგილი ესე ბნელისაჲ, რომელსა შინა იტანჯებიან კაცნი მრავალნი?» ჰრქუა მას ანგელოზმან მან: «ესენი არიან პირველნი შენნი ნათესავნი, რომელნი კერპთ ჰმსახურებდეს, ქმნულთა ველთა კაცთასა». თა მერმე კუალად ჰრქუა: «უფალო, რომელნი ესე ნათელსა შინა არიან, ვინ არიან?» სრქუა მას ანგელოზმან მან: «ესენი არიან მსახურნი იმრთისანი, რო-მელმან შექმნნა ცანი და ქუეყანაჲ, და რომელ-თა მიიღეს ნათელი სახელითა აფლისა ჩუენი-სა სესუ ჟრისტვს, იმრთისა ჩუენისაჲთა». ღოლო ნმიდასა **სულანდუხტს** უნდა შესლვაჲ ადგილსა მას ნათლისაჲსა, სადა-იგი იყო ანგე-ლოზი იგი. სრქუა მას ანგელოზმან მან: «ვერ შემოხვდე აქა თვნიერ ნათლისღებისა».

IV. ჰემდგომად სამისა დღისა მოეგო გო-ნებასა თვსსა სახილავისა მისგან საშინელი-სა და განსაკვრველისა სამთა მათ დღეთადასა და უთხრობდა ქმარსა თვსსა ჩუენებასა მას, რომელი იხილა შიშითა და ძრწოლით. ღოლო ქმარი იგი განრისხნა და ჰრქუა მას გულის-წყ-რომით: «ვითარ გხედავ, გულსა შინა გაქუს სარწმუნობაჲ იგი ჟრისტიანეთაჲ და მით ეგე ჩუენებაჲ იხილუე». ღოლო ნმიდაჲ იგი მიერთ-გან არლარა აღვიდა საგებლად ქმრისა თვსისა.

* კ. კეკელიძე, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, III, თბ., 1955. გვ. 210-227 (კომენტური რედ.).

თა მერმე კუალად ჰკითხვიდა ტყუეთა მათ ჴრისტიანობისათჳს და ჰრქუა გულსმოდგინედ: «მაუწყეთ მე»; რამეთუ უთხრობდა მათ სახილავსა მას, ვითარმედ «ვიყავ განკურვებასა სამ დღჳ და წარმიყვანა მე ანგელოზმან მან და მიჩუენნა მე ორნი ადგილნი: ერთი ბნელისაჲ, სადა იყვნეს სატანჯველსა შინა დიდსა, რომელნი-იგი ჰმსახურებდეს კერპთა, და მეორჳ იგი ადგილი ნათლისაჲ, რომელსა შინა იყვნეს სიხარულსა დიდსა, რომელთა აქუნდა ნათელი ჴრისტჳს იმრთისაჲ, და მინდა შესლვად ადგილსა მას ნათლისასა, ხოლო ანგელოზმან მან არა მიშუა შესლვად, არამედ მრქუა მე: «უკუეთუ გნებაჲს ადგილსა მას ნათლისასა შესლვად, პირველად ნათელი მოიღე და ჴრისტიანე იქმენ და მერმე შემოხვდე აქა».

ჴოლო მათ ვითარცა იხილეს გულსმოდგინედ იმრთისმეცნიერებაჲ იგი და წადიერად კითხვაჲ ჴრისტჳსთჳს, გულისჴმა-ყვეს, ვითარმედ იმერთი მოიყვანებს ამას ნათლად, უფროასი ნუგეშინის-ცემაჲ მოიპოვეს და უკადნიერჳსადრე ასწავებდეს ჴრისტიანობისათჳს. ჴოლო წმიდასა მას მეორედ და მერმეცა მესამედ გამოეცხადა ანგელოზი უფლისაჲ და ჰრქუა: «აჰა ესერა მესამედ გამოეცხადე შენ შემდგომად გამოცხადებისა მის, რომელი იხილე, რაჲთა ნათელი მოიღო და ჴრისტიანე იქმენ და უფროას წარჰმატო მადლსა ჴრისტჳსსა». ჴოლო ნეტარმან მან ჰრქუა ანგელოზსა მას: «ქმარი ჩემი მაყენებს ჴრისტიანობად და მეშინის, ნუ უკუე პოვოს მშჯავრი მიზეზი ნათლისღებისაჲ და ჴრისტიანობისაჲ». Ⴎრქუა მას ანგელოზმან მან: «აჰა ესერა მეფჳ წარჰმგზავნის მას ლუანიდ და მუნ მოკუდეს, ხოლო შენ ნუ უფროას დაჰყოვნი ნათლისღებად და ჴრისტიანობად».

შერმე კუალად ჰრქუა ქმარსა თჳსსა მესამჳ იგი სახილავი და «რამეთუ მეფჳ წარმგზავნის შენ ბრძოლად», არამედ სიკუდილი იგი არა უთხრა მას. ჴოლო მან არა დაიჯერა სიტყუად იგი მისი და შევიდა ჩუეულებისაებრ თავყუანის-ცემაჲ წინაშე მეფისა. Ⴎითარცა იხილა იგი მეფემან, ჰრქუა მას: «არავინ მყავს შენსა უფროასი, ვინმცა წარმგზავნე ბრძოლად, არამედ ინრაფე დღესვე განსლვად შენ და ნულარამცა პურსა ვანსა შინა შენსა ჰმჭამ». Ⴎა ვითარცა იხილა სწრაფაჲ იგი მეფისაჲ, და გამოვიდა მეფისაჲთ და მივიდა ვანად თჳსა და ჰრქუა წმიდასა მას: «დედაკაცო, ჴემმარიტად

მითხარ სახილავისა მისთჳს, რომელი იხილე; რამეთუ ვითარცა შევედ მე წინაშე მეფისა თავყუანის-ცემაჲ, არცა მიტევა მე წინაშე დგომად და არცა პურისა ჴამად სახლსა ჩემსა, არამედ მწრაფლ განსლვად ბრძოლად».

V. ჴოლო წმიდაჲ იგი **ლუანდუხტ**, შემდგომად წარსლვისა ქმრისა თჳსისა ლუანიდ, იხარებდა უფლისა მიმართ, და რამეთუ ესმა, ვითარმედ ლუანლსა შინა მოიკლა, ეძიებდა მწრაფლ, რაჲთამცა ნათელი მოიღო. Ⴎა არცა უნდა ნათლისღებაჲ ცხადად შიშისათჳს და ცნობისა მეფისა, და იზრახა, რაჲთა თჳსთა ტომთა თანა მივიდეს და დაივინყნეს თჳსნი იგი ნათესავნი. Ⴎა მივიდა იგი ჴრისტიანეთა მღდელთა თანა და უთხრობდა მათ ყოველსავე მას სახილავსა, რომელი ეჩუენა მას, და საკურველებასა მას, რომელი იხილა, და ჰლოცვიდა მათ მუჳლთ-დაბნევით, რაჲთა მწრაფლ ღირს-ყონ იგი ნათლისღებასა. ჴოლო მღდელთა მათ ვითარცა იხილეს მისი იგი წადიერებაჲ და გულისჴმა-ყვეს, რამეთუ იმერთი მოუწოდს მას და ჰყოფს ჴურად რჩეულად, მისცეს მას ნათელი სახელითა შამისაჲთა და ძისაჲთა და სულისა მმიდისაჲთა და უწოდეს მას სახელი **შარია**. Ⴎა შემდგომად ნათლისღებისა, მერვესა დღესა, ყვეს დღესასწაული დიდი ნათლისღებისაჲ, და ასწავეს მას ჴრისტჳს-მიერი სარწმუნოებაჲ და წარმგზავნეს სახიდ თჳსა. Ⴎა ვითარცა მივიდა წმიდაჲ იგი თჳსა ვანად, დაადგრა იგი ლოცვასა ღმრთისა მიმართ და დაივინყებდა იგი თჳსსა მას მამულსა და თჳსსა ჩუეულებასა.

VI. ჴემდგომად მრავლისა ჟამისა ნათლისღებისა წმიდისა მის უწყებულ იქმნა მეფისა მისთჳს და ყოველთა ნათესავთა მისთა, და არცა შესაძლებელ იყო ესე დაფარვად, ვითარცა იგი ოფალმან თქუა: «არა არს საიდუმლოჲ, რომელი არა გამოცხადნეს, და არცა დაფარული, რომელი არა გამოჩნდეს; ყოველივე, რომელი ბნელსა შინა ვთქუათ, ნათელსა შინა ისმენს; ყოველი, რომელი ყურსა ესმას საუნჯესა შინა, სართულსა ზედა იქადაგოს»(ლკ.12,2-3).

Ⴎსე ვითარცა განცხადნა წმიდისაჲ მის, განრისხნა მეფჳ იგი ფრიად მისთჳს და მიავლინნა ორნი უმჯობჳსთაგანნი ლიქნით სიტყუად მისა და ჰრქუა: «რაჲ განიზრახე ამისა ყოფად საგინებელად მეფისა და ყოველთა ნათესავთა მისთა? ინებე მწრაფლ გამოჯმნად წესთა მათგან ჴრისტიანეთაჲსა!» ხოლო წმიდამან მან

ჰრქუა მისრულთა მათ მისა: «ნუ იყოფვინ უფარის-ყოფად მეუფისა ოსუ ჴრისტჳსი, ძისა იმრთისა ცხოველისა!» ხოლო მეფესა მას ვითარცა ესმა სიტყუად ესე მივლინებულთა მათ მიერ, მერმეცა მიავლინნა მისა მეორედ და მესამედ და მიჰრქუა: «ესრჳთ ინებე უფარის-ყოფად ნათლისღებისა, და იციან ლმერთთა ჩემთა – მოგიყვანო შენ ცოლად ჩემდა!» ჯამეთუ ქმარი მისი მომკუდარ იყო ბანაკსა გარე, ვითარცა იგი წინა წერილ არს.

შერმე კუალად მიჰრქუა მეფესა: «უკუეთუ დაამტკიცოს ჩემ თანა მეფემან, ვითარმედ არა მოკუდეს, ესემცა ვქმენ; ხოლო უკუდავისა იმრთისა მითხოილ ვარ და ვერ შესაძლებელ არს განშოვრებად მისგან». ღოლო მეფჳ იგი ძუელი **ქუასროვ**, ვითარცა ესმა ესე, განრისხნა ნეტარისა მისთჳს და უბრძანა ყოველი მონაგები მისი იავრის-ყოფად და რკინითა მრჩობლითა შეკრვად ყოველი გუამი მისი და გრკალი რკინისა მძიმჳ დადებად ქედსა მისსა, რადთა ვერ შეუძლოს ზე ახილვად და ხილვად ცისა, და მიყვანებად იგი ექუსორიობად, სადა-იგი ჰრქვან «მოუჳსენებელ», და დლითი-დღედ ტანჯვად მისი.

VII. ღოლო მეფჳ იგი **ქუასროვ** გუემითა დიდითა და მედგრიითა სიკუდილითა განვიდა სოფლისა ამისგან. ჰემდგომად მეფობისა მისისა **ღრმიზდისსა**, ძისა მისისა, იმრთის-მსახურმან მეფემან ბერძენთამან **შავრიკ** მიუვლინა მშჳდობისათჳს ურთიერთას პაემანისა დადებისა მოციქულად კაცი ერთი, რომელსა სახელი ერქუა **სრისტობულ**. თა მიწერა წიგნი და წარმგზავნა **ღრმიზდისა**, **სპარსთა** მეფისა.

თა ვითარცა იქცეოდა მოციქული იგი **სპარსეთის** შინა, ესმა ნეტარისა **სულანდუხტისთჳს**. თა გამოითხოვა **სპარსთა** მეფისაგან თავით თჳსით, რადთამცა წყალობისა მიზეზისათჳს მივიდა და იხილნა, რომელნი-იგი იყვნეს ექუსორიას ადგილსა მას, რომელსა ჰრქვან «მოუჳსენებელ» და რაოდენნიცა იყვნენ მუნ ჴრისტეანენი, ითხოვამცა მეფისაგან განტევებად, რამეთუ წესი არს მეფეთა, ვითარმედ რადცა სთხოვიან მოციქულთა, მიანიჭიან მეფეთა.

თითარცა მოვიდა **სრისტობულოს** საექსურიესა მას ადგილსა, პოვა მუნ წმიდა **სულანდუხტ**. სული უთქუმიდა ხილვად მისა, რამეთუ ესმინა მისი იგი ტანჯვად. თა ვითარცა თაყუანის-სცა წმიდასა მას და დიდად იზრახეს იმრთისმსახურებისათჳს, ჰრქუა წმიდასა მას: «ვჳრქუა მეფესა და გამოგითხოვო შენ

და განგიყვანო შენ ამიერ». ღოლო წმიდამან მან ჰრქუა: «განგესაჯო შენ წინაშე საყდართა ქრისტჳსთა, უკუეთუ შენ ჰყო ეგე». ღოლო იგი დიდითა აღშჳნებითა წარვიდა, მრავალი ყოფადიცა წინაშე ისმინა წმიდისა მისგან **ღრმიზდ**, მეფისათჳს **სპარსთა**, რამეთუ არა უც ყოფად მშჳდობად და არცა მშჳდობისა პაემანი. თითარცა ესმა ესე, ჳლოცვიდა მას და ეტყოდა, რადთა საკრველთა მათგან რკინისათა ევლოგიად მოსცენ მას. შაშინ მოსცეს მცველთა მათ სხუად საკრველი რკინისა. შაშინ უბრძანა ნეტარმან მან პირველთაგანი მიცემად მისა. თითარცა მოვიდა მეფისა **სპარსთა**, მიიქცა მეფისა თჳსისა უქმად. თითარცა მოვიდა **სრისტობულოს** **იონსტანტინეპოლის**, ყოველივე, რადცა წინაშე-უთხრა ნეტარმან მან, ეგრჳცა პოვა შინა სახლი თჳსი და რადცა შეხუდა.

VIII. ღოლო წმიდა იგი მონამჳ ჴრისტჳსი ვითარცა იყო საპყრობილესა მას შინა, ისწავა სწავლად **ასურებრივი** და ფსალმუნნი **თავითისნი** მუნ მყოფთა მათგან ჴრისტეანეთა კაცთა. თითარცა ესმა ესე მეფესა **ღრმიზდ** ნეტარისი **სულანდუხტისი**, ვითარმედ საექუსორიჳ იგი სკლესია ყო ჴრისტეანეთა, შემდგომად ყოფისა მისისა მუნ საპყრობილესა მას შინა ათვრამეტ წელი, ბრძანა მისი გამოყვანებად მიერ ექუსორიადთ, არა ვითარმცა სწყალობდა, არამედ უფროდისა გუემისა და ტანჯვისა მიწევენად ლუანლისა მძლისა მის.

სრქუა მას მეფემან: «უფარ-ყავ ნათლისღებად და სარწმუნოებად ჴრისტეანეთად; კმა არს შენდა, რამეთუ ნათესავი მეფეთად აგინე და რჩული **სპარსთა** ყოველი გარდააქციე და გეგულების მათი ჴრისტეანედ ყოფად». ღოლო წმიდამან მან ჰრქუა მას: «უკუეთუ გინებს ყოვლითა გულითა რწმუნებად ჴრისტჳს იმრთისა ჩუენისა ჭჳმმარტისა, შეგიწყნარნეს თქუენცა». სე ვითარცა ესმა **ბაბილოვნელთა** მათ, უბრძანეს ტანჯვად მისი ცემითა ჭაბუკთა მიერ ურიდად და ძუძუსა ზოგი მოხეთქეს.

თა ესე ვითარისა მის გუემისა დათმენისათჳს ჰმადლობდა იმერთსა, რამეთუ ღირს იქმნა სახელისათჳს მისისა ტანჯვად. თა ნუგეშინის-სცემდა თავსა თჳსსა და იტყოდა: «რომელმან ზღუად **შენამული** და **სორდანჳ** მდინარჳ განაშოვრე, ჴრისტე იმერთო, და კუალად მუნვე მეყსეულად შეჰრთე, ესე ძუძუსა გარდანაკუეთი არგნითა მუნვე კუალად-აგე». თა აღილო და აგო თჳსსავე ადგილსა მას, და იქმნა

იგი ვითარცა პირველი იყო. **წითარცა** იხილა საკრველებად იგი იმრთისა ჩუენისაჲ, რაჲთა მოიქცეს იმრთის-მეცნიერებასა, უბრძანა მათ უძვრჴსი გუემად. **ქამეთუ** შთაასხეს ძაძასა ფიფქი ნაკუერცხლოვანი და გარდააცუეს თავსა და ყელსა შეჴბეჭდეს და დააგდეს ერთსა ადგილსა, რაჲთამცა მოკუდა იგი მუნ, რაჲთა მისა მიმართ აღესრულოს თქუმული წინაჲსწარმეტყუელისაჲ: «გყავ სამოსლად ჩემდა ძაძად და ვექმენი მათ იგავ»(ფს.68,11).

ჰოლო წმიდისა მის გუამისა გუემისა მრავალთა დღეთა დათმენითა მადლითა იმრთისაჲთა დაეცვა უვნებლად. **უწყა** მეფესა, ვითარმედ არარად ბოროტი შეეყო მას ეგოდენისა მის გუემისა მიწვენითა. **თა** ჰკითხა მეფემან და ჰრქუა, ვითარმედ: «არარად ევნოა მას ეგოდენისა მისგან ბოროტისა სატანჯველისა?» მაშინ წმიდამან მან ჰრქუა მას: «მე ეგევითარსა ადგილსა განსასუენებელსა ვიყავ, რომელ არასადა ეგევითარი ადგილი მეხილვა, და მცვიდა მე ჴრისტე იმერთი ჩემი ამათ დღეთა უვნებლად. ეგევითარი ადგილი ყოველსა მეფობასა **სპარსეთისასა** არა არს: ნათელი გარდარეულად სავსჴ ყოვლითა შუენიერებითა და შემკული ყოვლითა სიბრძნითა ბრწყინვალედ».

IX. **წითარცა** ესმა ესე მეფესა მას, უბრძანა მონამისა ჴრისტჴსისა შთაგდებად მღვმესა, რომელსა შინა იყო ვეშაპი გარდარეულად დიდი. **ქომელნი** ბოროტისა მოქმედნი არიედ კაცნი, მუნ შთასთხინიან, და ვეშაპი იგი განჴჴლევნ მათ; რამეთუ იმერთადცა ეპყრა მათ ვეშაპი იგი. **ქამეთუ** ესე ჩუეულებად აქუს **სპარსთა**, რამეთუ წინაჲსწარმეტყუელისა **ნანიელის** ზჴ ეგრჴთვე იყო ვეშაპი იგი.

ჰოლო წმიდაჲ იგი ვითარცა შთავიდა ჯურღმულსა მას, პირი აღამტკმო ვეშაპმან მან და მიჴმართა, რაჲთამცა განლია წმიდაჲ იგი და უკუნ-გარე-იქცა, რამეთუ ვერ იკადრა ყოვლად მიახლებად მისა. **ჰოლო** წმიდამან მან, ვითარცა იხილა გარდარეულად სიდიდჴ მჴეცისა მის, შეძრწუნდა ფრიად და დასწერა **ჯუარის** მიმართებასა მას ვეშაპისასა და დაჴჴსნა იგი.

შრავალი შადლი იმრთისაჲ გამოეცხადა მას ჯურღმულსა მას შინა, რამეთუ ვითარცა შთააგდეს იგი, შეეშინა. **თა** ჰრქუა მას ანგელოზმან მან: «რაჲსა შეგეშინა ვეშაპისა მისგან და იქმენ შეძრწუნებულ? ვერ შეუძლოს სიდიდემან მაგან მჴეცისამან ვნებად შენდა, ფერჴთა ქუეშე შენთა მიგცე ეგე მსგავსად წერ-

ილისა მის, რომელსა იტყვს: «ასპიდსა და იქედნესა ზედა ხვდოდი, დასთრგუნო შენ ლომი და ვეშაპი»(ფს.90,13). **თა** მიერთგან უშიშებაჲ აქუნდა წმიდასა მას. **თა** მოვიდა ვეშაპი იგი და დაუვრდის ფერჴთა თანა წმიდისა მის და უნებნ, რაჲთამცა დასდგა ჴელი და იკურთხა წმიდისა მისგან. **თა** რაჲთა არა დაუმიძიმოს მუჴლთა წმიდისა მის სიდიდისა მისგან, აღიშუერის გუამი იგი ფერჴთაგან წმიდისა მის, და რაჴამს უნებნ შთაგდებისა საზრდელი მჴეცსა მას, აღემართის ზჴ და ეგრჴთ შეიპყრის საზრდელი იგი პირსა მისსა, და თვსაგან დაწვის და შეჭამის იგი ბუდესა ზედა თვსსა, რაჲთა არა აწყინებდეს წმიდასა მას.

ჰოლო იყო წმიდაჲ იგი ჯურღმულსა მას შინა მრავალთა დღეთა უზმაჲ და მოემშია, რამეთუ ბუნებად თვსსა მას ჩუეულებასა ეძიებს, ხოლო უღმრთონი იგი მძლავრნი მჴეცსა მას სცემდეს საჭმელსა და წმიდასა მას არა სცემდეს. **წრქუა** მას ანგელოზმან მან: «რაჲსა შეგეურვა შიმშილითა და წყურვილითა?» ხოლო წმიდამან ჰრქუა: «ვითარ არა, უფალო, ესთენთა დღეთა არარაჲსა გემოდ მიხილავს და არამცა მოვაკლდია შიმშილითა გინა თუ წყურილითა?» მაშინ ანგელოზმან მან სახჴ იგი **ჯუარისა** დაჴბეჭდა პირსა მისსა და ჰრქუა: «ამიერთგან არა გმიოდის და არცაღა გწყუროდის, არამედ ვითარცა გინდეს ჴელმწიფებასა შენსა, ეგრჴთცა გეყოს».

ჰოლო დაყო ჯურღმულსა მას შინა ვეშაპისა მის თანა სამი თთუჴ. **ჰოლო** ურჩულონი იგი **ბაბილოვნელნი** ხედვიდეს ჴელთ-განჴყრობით ლოცვასა იმრთისა მიმართ მარადლჴ. **თა** რაჴამს ჴნებავნ საზრდელისა მილებად ჴორცთა უძლურებისათვს, მცირედ პური წყალსა ნელ-თფილსა დაიღბის. **წე** იყო საზრდელი მისი. **წმას** ყოველსა ჴხედვიდეს ურჩულონი იგი, უთხრეს მეფესა, ვითარმედ ცოცხალი არს და არარად ავნო მას ვეშაპმან, არამედ ფერჴთა ზედა (მისთა) გორავს მჴეცი იგი. **თაშინ** ბრძანა აღმოყვანებად მისი მჴეცისა მისგან, არა ვითარმცა სწყალობდა ნეტარსა მას, არამედ რაჲთა უძვრჴსი და უფროჲსი განიზრახოს მისთვს სატანჯველი.

X. **თაშინ** უბრძანა მეფემან შეგდებად მისი სახლსა ერთსა შინა და მრავალთა კაცთა უღმრთოთაჲ შესლვად მისთანა, რაჲთამცა შეაგინეს ტაძარი იგი ჴორცთაჲ წმიდისა მის. **წითარცა** იხილა იგი წმიდამან, შეძრწუნდა, ნუ უკუე ურჩულოთა ჴმძლავრონ მას, არამედ ევედრებოდა იმერთსა სასოებით, რაჲთა შემწე ეყოს მას,

ვითარცა იგი ოდესმე **ნავით** თქუა: «განმარინე მე, **ოფალო**, კაცსა უკეთურსა, კაცისა ცრუსა და მზაკუვარისაგან მივსენ მე»(ფს.42,1). **ხოლო** იმერთმან დასცა სიბნელე შემავალთა მათ წმიდისა მის მოწამისა, ვითარცა იგი **სოდომელთა** მათ **ნოთის ზე**, და გარეშე აქცინნა, რათა არა შეეხნენ წმიდასა მას, რამეთუ არცა ჰხედვიდეს მას. **ხოლო** წმიდა იგი ჰხედვიდა მათ ყოველთა და მესაპყრობილენიცა-იგი ჰხედვიდეს მას მჯდომარესა შოვრის სახლსა მას და ვედრებასა ჰყოფდა იმრთისა მიმართ, **ხოლო** ურჩულონი იგი ამასცა განზრახვასა სიბილწისასა სირცხვლეულ იქმნეს, რამეთუ იტყოდეს **ბაბილოვნელნი** იგი: «გრძნეულ არს და ვერ შეუძლეთ მას ძლევად».

XI. **შაშინ** მისცეს მას მიზეზი სიკუდილისა, რამეთუ არს რჩული **სპარსთა** შებეჭდვად ყელისა, რომელი დაისაჯის სიკუდილად. **შაშინ** შეჰბეჭდეს ყელსა მოლუანესა მას **ჩრისტესსა** და მის თანა ორთა სხუათა ძვრის-მოქმედთა, არამედ არა **ჩრისტეანეთა**, რათა მის ზედაცა აღესრულოს წერილი იგი: «ურჩულთა თანა შეირაცხა»(მრკ.12,28). **ნა წარმგზავნეს** მათთანა ადგილსა რომელსამე საექუსორიესა დიდად მედგარსა, რათა მუნ მოკუდეს ძვრის-მოქმედთა მათ თანა სიკუდილითა ბოროტითა, რამეთუ მოჰკუეთიან თავი და მოართვან ბეჭედი იგი მეფესა, რომელსა შეუბეჭდვან ყელსა.

წითარცა წარიყვანეს მტარვალთა მათ ნეტარი იგი, მგზავრ გამოეცხადა მათ ანგელოზი იგი უფლისა და ჰრქუა მტარვალთა მათ და მვედართა: «ვიდრე გყავს მვევალი ეგე **ჩრისტესნი**? განუტევეთ ეგე!» **ხოლო** მათ შეეშინა ხილვისა მისგან საშინელისა კაცისა. **წითუგეს** მტარვალთა მათ და ჰრქუეს მას: «**უფალო**, ბრძანებად მეფისა არს და ვერ შეუძლოთ მაგისა საქმედ, ვიდრემდის თავი არა მოვჰკუეთოთ და ბეჭედი იგი გებულად მივართუათ მეფესა, თუ არა ეგრვით სახედ ვყოთ, ჩუენ და ნათესავი ჩუენი მოწყვდნეს».

შაშინ ჰრქუა ანგელოზმან მან იმრთისაგან: «**უკუეთუ** ეგრვ სახედ არს და ბეჭედი ეგე ცოცხალი შეჰგავს წარლებად თქუენდა, მიიღეთ და ვიდოდეთ!» **მაშინ** აღსძარცუა ანგელოზმან მან ბეჭედი იგი ყელისა მისგან წმიდისადასა, მისცა მათ და განუტევნა იგინი. **შაშინ** ჰრქუეს ანგელოზსა მას იმრთისასა მტარვალთა მათ: «**უკუეთუ** აგრძნეს მეფემან, ვითარმედ ცოცხალ არს, ვითარ ვყოთ, რამეთუ მოწყვდებით?» ჰრ-

ქუა მათ ანგელოზმან მან: «**ოდეს** ესმეს მეფესა, ვითარმედ ცოცხალ არს და მიგინოდის თქუენ, გონებასამცა თქუენსა გავსოვ მე, და მუნ ვიპოვო მე და გივსნე თქუენ სიკუდილისაგან». **შაშინ** დაჯერებულ იქმნეს და მოიღეს ბეჭედი იგი და ურჩუენს წმიდასა მას და წარვიდეს.

XII. **შაშინ** გულკლებულ იქმნა წმიდა იგი და ჰრქუა ანგელოზსა მას: «**კეთილად** ვიყავ აღსრულებად, უფალო!» **ხოლო** ანგელოზი იგი დაადგრა მის ზედა და ჰრქუა მას: «**გნებავსა** შენ თავისა შენისა მოკუეთად და აღსრულებად სრბად სიმწნისა შენისა?» **ხოლო** წმიდამან მან ჰრქუა: «**ჰე, მნებავს მე!**» **მაშინ** ანგელოზმან მან **ოფლისამან** მოილო ჳრმალი მტარვალისა **მისგან** მვედრისა და აჩუენა მას და ჰრქუა: «**წარმონუადე** ქედი შენი!» და მან გულსმოდგინედ წარუბყრა, და მოჰკუეთა თავი მისი. **ნა** იპოვა სამოსელი მისი შესუარული სისხლითა აღშწნებისათვს წმიდისა მის მოწამისა. **ნა** მერმე კუალად გან-ვე-აცხოველა იგი.

შაშინ იხილეს საკვრველებისა ესე საქმე მვედართა მათ და მიიქცეს მეფისავე მის და მისცეს ბეჭედი იგი ცოცხალი. **შაშინ** ჰრქუა ანგელოზმან მან წმიდასა მოწამესა **ჩრისტესსა**: «**აჰა** ესერა მახვლითა აღსრულე ღუანლი შენი და შეინირე შენ ღუანლითა შენითა ცათა შინა, ღირს იქმნა ვედრებად შენი იმრთისა». **ნა** ღირს იქმნა წმიდა იგი მადლისა წინაცნობად და კურნებისადა, და აქუნდა ნყლულებადცა იგი ქედსა მისსა აღსაშწნებელად მხილველთა მისთა და სისხლი იგი სამოსელსა მისსა, რათა უფროდს სარწმუნო იქმნეს. **წამეთუ** იყვნეს რომელნიმე სახლისა მისისაგანნი, რომელნი უკუანა შეუდგეს მამანი, რომელნი სწყალობდეს წმიდასა მას ტანჯვასა მას შინა.

შაშინ ჰრქუა მათ ანგელოზმან მან იმრთისამან: «**წარიყვანეთ** ეგე და წარვედით **საბერძნეთად!**» და დაუცვნეს იგინი ანგელოზსა მას იმრთისასა და ჰრქუეს: «**ჰე, რათა** ვილოცოთცა წმიდათა და იმრთისა სათნოთა ადგილთა **წერუსალტმს!**» **მაშინ** წარმოიყვანეს წმიდა იგი თვსთავე მათ კაცთა და იწყეს გზავნად საზღუართა მზის აღმოსავალით-კერძო იმრთისა წინამძღურებითა და მიიწინეს მდინარესა მას **წერატსა** და წიაღვდეს იგინი და დაადგრეს ქალაქსა, რომელსა ჰრქვან **წისიონ**. **წრავალთა** მოაქცევდა **ოფლისა**, და ცხადთაგან და თითოფერთა სალმობათაგან ჰკურნებდა ყოველთა.

XIII. **ხოლო** ეუნყა **ღრმიზდ**, მეფესა **სპარ-**

სთასა, ვითარმედ ცოცხალ არს ნმიდად **„სულანდუხტ“**, და იპოვა იგი **ჩისიონ** ქალაქსა, და უბრძანა მოყვანებაჲ კაცთაჲ მათ, რომელთა ბეჭედი გებულად მოართვეს, და ჰრქუა მათ: «არა სთქუთა, ვითარმედ მოკუდა **„სულანდუხტ“**?» ხოლო მესაპყრობილეთ-მოძღუარმან ჰრქუა მეფესა: «უკუნისადმდე ცხომდი! ჴითარცა მივიდოდეთ ჩუენ გზასა, კაცი ვინმე, გარდარეულად შუენიერი, რომლისა პირსა მისსა ვერ შეუძლეთ განცდად, დაგვდგა წინა და გურქუა: «ვიდრე მიგყავს ნმიდად ეგე? განუტევეთ ეგე!» ხოლო ჩუენ ვარქუთ: «ბრძანებაჲ მეფისაჲ არს, და ვერ შეუძლოთ ესე ყოფად, ვიდრემდის არა მოკუდეს და მოეკუეთოს თავი და ბეჭედი ეგე გებულად უკუნ-ვართუათ მეფესა. ჴითარცა ესმა ესე ჩუენგან, მიყო ჴელი მისი და შეახო ქედსა მისსა და აღსძარცუა ბეჭედი იგი და მოგუცა ჩუენ ცოცხალი. ოა მიილო ჴრმალი ჩემი და მოჰკუეთა თავი ნმიდასა **„სულანდუხტს“**, რამეთუ გულსა აკლდა ნმიდასა მას არა მოკლვად იგი მისი და მერმე აღძარცუვად ბეჭდისა მის, რადთა აღესრულოს მარტურობაჲ იგი მისი. ჴემდგომად თავისა მოკუეთისა ნმიდასა მას მუნვე ჩუენ წინაშე დააგო თავი იგი მისი და განაცოცხლა იგი, ხოლო შესუარულ იყო სისხლითა ყოველი სამოსელი მისი. შაშინ განგვტევენა ჩუენ და იგიცა წარსლვად, სადაცა ვის უნდეს».

ღითარცა ესმა ესე მეფესა **„არმიზდს“**, განრისხნა ნმიდისა მისთჴს და უბრძანა ყოვლისა ნათესავისა ნმიდისა მის გუემად და მოსრვად. შაშინ აქუნდა კაცთა მათ გონებასა მათსა ანგელოზი იგი **„ოფლისაჲ“**, რომელ გამოეცხადა მათ. ოა მეყსეულად იხილეს იგი მუნ მდგომარჴ და იწყეს ვმობად და ჰრქუეს: «აჴა ესერა არს, რომელმან იგი ბეჭედი მოგუცა ჩუენ» და ურქუენებდეს მას თითითა. ღოლო მეფჴ და ყოველნი იგი დიდ-დიდნი მთავარნი არავის ჰხედვიდეს, არამედ შეძრწუნებულ იქმნენ და ჰგონებდეს, ვითარმედ შიში მეფისაჲ შეურაცხყვეს და ამას იხილვიდეს. ღოლო მეფემან არავისი ბრძანა მოკლვად მათგანისაჲ, არამედ მისლვად მათი უდაბნოდ ექუსორიად, რომელსა ჰრქვან «დავიწყება», რადთა არა იყოფვოდინ სამეუფოსა ქალაქსა შინა **„სპარსთასა“** და ასწავებდენ სხუათაცა სარწმუნობასა ჴრისტეანეთასა და მოაქცევდენ.

XIV. ოა ვითარცა იყოფვოდა **„სულანდუხტ“**, რომელსა ეწოდა **„შარიამ“**, ქალაქსა მას, რომელსაცა ეწოდა **ჩისიონ**, მრავალთა დღეთა, მრავალთა კურნებათა აღასრულებდა და მოაქცევდა

ღრისტჴს იმრთისა მიმართ. ოა ვითარცა იქმნა შფოთისა აღდგომად **„არმიზდ“** მეფისა ჴედა **„სპარსთასა“**, რომელმანცა იგი მიანინა დიდ-დიდნი გუემანი მის ჴედა, დაიდვა გულსა მისლვად **„სერუსალჴმდ“** და თავყუანის-ცემად ნმიდათა ადგილთა. ჴითარცა მიინინეს ადგილსა ერთსა, და დაადგრეს მონასტერსა ერთსა, ხოლო მონასტერი იგი არამართლმადიდებელთაჲ იყო.

ოა ვითარცა უნდა ნეტარსა მას ჴიარეზად პატიოსნისა ჴორცისა და ჴეშმარიტისა სისხლისა ჴრისტჴსისა, ჰგონებდა მათსა შართლმადიდებლობასა. **„სკითხეს ნმიდასა მონამესა ჴრისტჴსსა: «რომლისა სარწმუნობისაჲ ხარი?»** ხოლო ნეტარმან მან მსგავსად ჩუეულებისა, – რამეთუ აქუნდა ჴეშმარიტი სიძჴ, **„სესუ ჴრისტჴს“**, – ქადაგა შართლმადიდებლობად და თქუა: «მე ჴრისტიანჴ ვარი და ვეზიარები ნმიდასა კათოლიკე **„სკლესიასა“**. ჴითარცა ესმა მონასტერსა მას ნმიდისა კათოლიკე **„სკლესიისა“** სამოციქულოსა სიტყუად, არღარა შეინყნარეს ჴიარებაჲ იგი.

ღოლო ნმიდაჲ იგი გარე-წარჴჴდა მათ და დაადგრა სხუასა სახლსა, და პოვნა მას სახლსა ცოლ-ქმარნი. ღოლო ცოლი იგი იყო სარწმუნობითა კათოლიკე **„სკლესიისა“** სამოციქულოსაჲთა, ხოლო ქმარი მისი **„უთავოთაგანი“**, რომელთა აქუს **„სევერჴს“** ნვალეზად. ღოლო ნმიდამან არცა მუნ ინება ჴიარებაჲ, რამეთუ გამოეცხადა მას მართლ-აღსაარებაჲ: **„ჴხედვიდა ანგელოზსა ოფლისასა, ვითარმედ შევიდის შართლმადიდებელთა „სკლესიასა“ იგი და ანგელოზი იგი. ოა ეპყრნეს მას ორნი ბარძიმი: მარჯუენჴ იგი სავსჴ იყო ნათლითა, ხოლო მარცხენითი იგი სავსჴ იყო ბნელითა. ღოლო ნმიდამან რქუა ანგელოზსა მას: „უფალო, რად არს სხუად ესე და სხუად სასუმელთაჲ მათ?“** ხოლო მან ჰრქუა მას: **„სასუმელი ეგე მარჯუენითი ნათლისაჲ არს ჴიარებაჲ ნმიდისა და სამოციქულო კათოლიკე „სკლესიისაჲ, ხოლო მარცხენითი ეგე არს მწვალებელთაჲ, მედგრად მორწმუნეთაჲ“**. ღოლო ესე ვითარცა ისწავა ნმიდამან ჴრისტჴსს მონამემან ანგელოზისა მისგან, და აღეშწნა; მიერთგან მოუკლებულად ნმიდასა და სამოციქულო კათოლიკე **„სკლესიასა“** ეზიარებოდა ნმიდასა ღორცსა და სისხლსა ჴრისტჴსსა.

XV. ჴემდგომად ამის სახილავისა წარვიდა მიერ ადგილით და ეგულებოდა მისლვად **„სერგის“** ნმიდასა **„სარბარიკონდ“** ლოცვად. ოა შემდგომად ლოცვისა მის მუნ წარემართა

სერუსალტში ლოცვად და თავყუანისცემად წმიდათა და საგალობელთა ადგილთა ღრისტის-სთა. ჴითარცა იქცეოდა წმიდასა ქალაქსა შინა, მივიდა მონაზონისა ერთისა დიდისა, რომელსა აქუნდა მაღლი წინაცნობისაჲ. ჴითარცა იხი-
 5 ილა იგი მონაზონმან მან, წინათვე მოიკითხა იგი და ჰრქუა: «კეთილად მოხუედ, მარტვრო და სძალო ღრისტის იმრთისაო!» ხოლო იგი სიმდაბლით მისა მიმართ შიშით ზრახვიდა და შეისწავებდა სიტყუასა და ჰრქუა: «უფალო ჩემო, მრავალთა დღეთა მრავალი სიტყუაჲ სარგებლისაჲ ვისმინე მე აქა და აღშწნებისაჲ».

ხოლო ბერმან მან სულთ-ითქუნა და ცრემ-
 ლნი გარდამოსთხინა და ჰრქუა წმიდასა მას, რომელსა ნეტარიცა იგი თვთ მეცნიერ იყო: 15 «რამეთუ მოახლებულ არს აღსასრული და მოსლვაჲ წნტქქრისტისი, ვილოცვიდეთ უკუე, რათა ოფალმან მშკდობით განგვყვანნეს ამი-
 ერ სოფლით». ᴒსე ვითარცა ესმა წმიდასა მას ბერისა მისგან, ჴუარი დასწერა და თქუა ბერი-
 20 სა მიმართ: «უფალო, ოდეს მეცა შეყენებულ ვი-
 ყავ საპყრობილისა ადგილსა, რომელსა ჰრქვან «დავიწყებულ», მესმა ანგელოზისა მისგან, რომელი თქუა: «მოახლოებულ არს მოსლვაჲ წნტქქრისტისი და ახლოს არს კართა ზედა». 25
 ᴒა სახილავისა მისთვისცა და წინაცნობისა სი-
 ტყუაჲ დაასრულა ბერისა მის თანა. შაშინ ჰამ-
 ბორს-უყვეს ურთიერთას.

ჴერი იგი დაადგრა მუნვე, სადაცა იგი იყო, ადგილსა მას, ხოლო ნეტარმან მან აღასრულა ლოცვაჲ თვისი, სადაცა-იგი გული უთქუმიდა, და აღივსო წმიდათა ადგილთა შადლისაგან, სადაცა-იგი ივნო ღრისტემან ღორცითა და სასწაულნი ღრისტის იმრთისანი იქმნნეს.

XVI. ჴუალად მიიქცა და მივიდა ადგილთა 35
სეროპოლისათა და დაადგრა აღმოსავალ-
 ით-კერძო ეგუტერსა **სვმეონისსა** ხილვად მე-
 ფისა მის **ჴაბილოვნისა** – რაჲ იგი მისდა შეხ-
 დომად იყო. ჴამეთუ წინათვე გვთხრა ჩუენ მარტვრმან მან ღრისტისმან **ჴუასროვ** მეფისაჲ-
 40 ცა ახლისაჲ გაქცევაჲ და მერმე კუალად-გებაჲ და რამეთუ ადრე დაჰჴდეს მეფობაჲ **სპარსთაჲ**.
 ᴒა **წრისტობულტისიცა** თქუა თუ რომელსა ჟამ-
 სა და რომელსა დღესა ყოფად არს სიკუდილი მისი, მახლობელთა მისთა უთხრა და ჩუენცა
 45 გუაუნყა. ᴒა არამრავალთა შემდგომად მოკუ-
 და იგი დღესა მას, რომელსა ჰრქუა წმიდამან.

შრავალთა მთავართა და იმრთის-მოყუ-
 არეთა კაცთა იხილეს წმიდაჲ იგი მონამჴ ღრ-

ისტისი და ყოველი იგი წინადანერილი და გვ-
 თხრობდეს ყოვლად; და უფროჲს ხოლო **წო-
 მენტიანე მელენტიანელი** ეპისკოპოსი, რამეთუ
 დიდად პატივის-ცემდა მარტვრსა მას ღრისტის-
 5 სა, და სხუათაცა მრავალთა კაცთა მეპატივეთა
 და აღიდეს წმიდაჲ იგი.

XVII. ხოლო იმრთის-მსახურმან მეფემან
ბერძენთამან შავრიკ წარავლინა **წომენტიანე**
 ეპისკოპოსი, თვისი დისწული, აღმოსავალად
 10 მეფისა **სპარსთაჲსა**, რათა ზრახონ მშკდობაჲ.
 ჴითარცა მიინია იგი ადგილთა მათ აღმოსავალ-
 ით-კერძო, ეუნყა მას **სულანდუხტისთვს**, რო-
 მელსა **შარიამ** ეწოდა. ᴒა ვითარცა შევიდა
 ქალაქად **სერაპოლისად**, მიმართა ეგუტერად
 15 **სვმეონ** წმიდისად და მოიკითხა წმიდაჲ იგი და
 ყო ზრახვაჲ მის თანა და მოისმინა მისგან ყოვე-
 ლივე, რომელი ზემო წერილ არს, რომელ დართ-
 მინა ტანჯვაჲ ღრისტისთვის, და სხუაჲცა, რო-
 მელი ყოფად იყო დღეთა ჩუენთა, წინა აუნყა.

ოთხრობდა ეპისკოპოსი იგი ნეტარსა მას,
 ვითარმედ: «მეფემან ჩუენმან მომავლინა მე
 მშკდობისა ყოფად და პაემანისა დადებად **სპ-
 არსთა** მეფისა». ხოლო წმიდამან მან ჰრქუა მას:
 «მიუწერეთ მეფესა თქუენსა, რათა დააცადონ
 20 ჯერეთ, რამეთუ ესე **არმიზდ** თვსთაგან კაც-
 თა მედგრითა გუემითა მოკუდეს. ᴒა შემდგო-
 მადცა მისა რომელი დაჯდეს, სახელით **ჴუ-
 ასროვ**, მის ზედაცა აღდგომად არიან **სპარს-
 ნი**, და სივლტოლით მოვიდეს **საბერძენთად**.
 30 ჴითარცა ეუნყა იმრთის-მსახურსა მეფესა ცხ-
 ენთ-სარბიელსა მას შინა, ესე იგი არს იპოკო-
 ნიერსა შორის, ღალად-ყო და თქუა: «უკუეთუ
 ვცხონდეთ, ხილვად გვც იგი, რომელი მამათა
 ჩუენთა არა იხილეს».

ᴒსე ყოველი წინაასწარ წმიდისა მარტვრის-
 აგან ეუნყა მას. ჴამეთუ ნათესავთა თვის ბარ-
 ბაროზთაჲსა თქუა, რომელი არავის გამოუც-
 ხადეს მრავალთაგანსა, რაჲ-იგი შეხუედრებად
 იყო. ᴒა **ჴუასროვ**, მეფისა **სპარსთაჲსა**, სივლტო-
 40 ლით მისლვასა **საბერძენთად**, ადგილთა მათ
სერაპოლისათა, ეუნყა წმიდისა მის მარტვრი-
 სათვს **სულანდუხტისა**; მასვე ქალაქსა შინა
სერაპოლის ყოფასა უნდა შემთხვევაჲ მისი და
 ზრახვაჲ მის თანა. ᴒა მოვიდეს მეფჴ და ეპისკო-
 45 პოსი **წომენტიანე** ნეტარისა მის. ᴒა იკითხვიდა
 მეფჴ: «თუ მისლვად ვარ ჩემსავე მას საყდარსა
 სამეფოთსა?» ხოლო წმიდამან ჰრქუა: «მეფუცე
 მე, რათა განუტყვენ ჩემთანანი იგი პყრობილ-
 ნი, რომელნი არიან ჴინდითს შინა ჩემთვის, რო-

მელნი შეაყენნა მამამან შენმან **არმიზდ** საპყრობილესა, და ყოველივე ქვეშარიტი გითხრა».

შაშინ ეფუცა მას აღსრულებად ნებად მისი და **ნომენტიანე** ეპისკოპოსი ევედრავე მეფესა მის თანა. **ნა** ბრძანებად დაუნერა და წარავლინა განტევებად ყოველთა პყრობილთა, რომელნი იყვნეს შეყენებულ ადგილსა მას «მოუწყენებელსა», მაშინ განუტევენეს ყოველნი იგი პყრობილნი შადლითა მის წმიდისაათა. შაშინ ჰრქუა მეფესა **ქუასროვსა**: «რამეთუ შენსავე ადგილსა დაგამტკიცოს მეფემან **ბერძენთამან**, ხოლო მეფობად **სპარსთაჲ** შენდამი ეგოს». შერმეცა თქუა **ნტტქერისტტს**თვს, რამეთუ მოახლებულ არს მოსლვად და კართა ზედა დგას, და მეფობისათვსცა **ბერძენთაჲსა**, თუ რაჲ შემთხუვევად იყო, რომელი დაიდუმეს და არავის უთხრეს. «შეჰვაგვს უკუე მღვდარებად და ლოცვად ჩუენდა, ვითარცა იგი **ოფალმან** თქუა: იღვძებდით და ილოცევდით, რაათა არა შეხვდეთ განსაცდელსა, რამეთუ არა იცით დღე იგი, არცა ჟამი, ოდეს უფალი თქუენი მოვიდეს»(მრკ.13,35. მთ.24.42).

XVIII. **წითარცა** მოვიდა **ქუასროვ** მეფე **სპარსთაჲ** ადგილთა მათგან აღმოსავალისათაჲთ **სპარსთაგან** სივლტოლით, იმრთისმსახურმან მეფემან **ბერძენთამან** დიდძალი ნიჭი უძღუანა მეფესა **სპარსთასა** **სტეფანტს** მიერ სენაკაპანისა სადგოფლისა, კაცისა დიდებულისა და პატიოსნისა, რომელი სტუმარ იქმნა წმიდისა მის მონამისა და მის თანა სხუანიცა მრავალნი დიდ-დიდნი და მჯობტვაგანნი კაცნი, რომელთა ესმა, თუ ვითარ სახედ ივნო ჴრისტტსთვს.

ღვლებოდა სენაკაპანსა მას წმიდაჲ იგი აღყვანებად სამეუფოსა ქალაქსა **ხონსტანტინეპოვლის**, რაათა თავყუანის-იცეს წმიდაჲ იგი მეფეთაგან. **წრა** ინება ნეტარმან მან და თქუა: «ვერ შესაძლებელ არს ჩემდა აღსლვად სამეუფოდ ქალაქად, არა მიბრძანა მე **ოფალმან** ესე საქმედ, რამეთუ მოახლებულ არს ჟამი აღსრულებისა ჩემისაჲ. **აკუეთუ** მაიძულოთ, მე გზას აღვესრულო; გვედრები თქუენ – შემინდვეთ მე». **ქოლო** იგინი ევედრებოდეს და ეტყოდეს: «მეფემან მოგვწერა ჩუენ, რაათა გვედრნეთ შენ აღსლვად». **ნა** ვერ შეუძლეს დაჯერებად მისა, და აღივსეს აღშტენებითა წმიდისა მის მარტურისაგან და დაუტევეს იგი ადგილსა მას, სადაცა იყო.

XIX. **წმას** ყოველსა გვთხრობდა ჩუენ სქო-

ლასტიკოსი ვინმე დამტკიცებულად ყოვლად და მუნთქუესვე ვინრაფე აღწერად ეპისკოპოსისა **ნომენტიანტსითურთ** შემდგომითი შემდგომად. **ნა** მოიყვანნეს კაცნი ვინმე სარწმუნონი, რომელთა პირის-პირ მათცა მარტურისა მისგან ესმინა ესე ყოველი, არა ვითარმცა ვისნავეთ სიტყვთა, არამედ ვინრაფეთ აღწერად რაჲოდენი გონებამან ჩუენმან შეგუწია მრავლისაგან მცირედი.

XX. **წოინია** ჟამი აღსრულებისაჲ წმიდისა მის მარტურისა **ღულანდუხტისი**, რომელსა **წარიამ** ეწოდა. **წლიპყრნა** ჳელნი თვსნი ზეცად და გალობასა შესწირვიდა იმრთისა, და აღმოუტევა სული სიხარულით შეწყნარებითა წმიდათა ანგელოზთაჲთა მისლვად განმზადებულსა მას მისთვს სასუფეველსა სმენითა ჳმისა **ოფლისა**ათა, რომელი თქუა: «მოვედით კურთხეულნო **წამისა** ჩემისანო და დაიმკვდრეთ განმზადებული თქუენთვს სასუფეველი»(მთ.25,34). **წითარცა** ესმა მის ქუეყანისა კაცთა აღსრულებად წმიდისა მარტურისაჲ, სიმრავლტ მღდელთაჲ და ერისკაცთაჲ და აზნაურთა დედათაჲ და ყრმათაჲ მწრაფლ მოვიდეს და კერეონებითა და ფსალმუნითა და გალობითა წარიხუნეს ნაწილნი იგი წმიდისა მონამისანი და დაილუანნეს საყოფელსა წმიდისა **სერგისისსა** საშუვალ ქალაქსა **წარასა** და **წისიონსა**, რაათა მეობ იყოს ყოვლისა სოფლისა მეფეთა და ყოვლისა ერისა **წრისტეანეთა**ჲსა და **წრისტტს**-მიერ მღდელთა.

წითხოვოთ ჩუენცა, რაათა მეოხებითა წმიდისა იმრთის-მშობელისაათა და წმიდისა მის ღუანლით-შემოსილისა **ღულანდუხტისითა** და ყოველთა მარტულთაათა მივემთხვნეთ მოტევებასა ცოდვათასა და კეთილის სიტყვს-გებად წინაშე საყდარსა საშინელსა **წრისტტს** იმრთისასა.

წღესრულა წმიდაჲ იგი **წრისტტს** მონამტტ თთუესა **ღუნისსა**, რომელ არს **წუელთობისა**ჲ, მეცხრესა ინდიკტიონსა; ინამა მეფობასა ძუელ **ქუასროვსა** და **არმიზდისსა** და ახლისა მეფისა **ქუასროვსა** და იმრთის-მსახურისა მეფისა **ბერძენთაჲსა** **წავრიკისსა**, ვითარცა ზემო წერილ არს. **ქოლო** ჩუენ ზედა მეუფეობასა **ოფლისა** ჩუენისა **ღესუ** **წრისტტსსა**, რომლისაჲ არს დიდებაჲ თანა **წამით** და სულით **წმიდითურთ**, ან და მარადის და უკუნიითი უკუნისადმდე. **წმინ**.